

K 66.961  
3



საბჭოთა კულტურის მინისტრის ხარისხის დაზღვევის განხილვის სამსახური

## ი. ს. ნებიარიძის მოგონებანი

თურქების მიერ სამხრეთ საქართველოში  
გოგო-ტიპების მოტაცებისა და  
ტყვეებით ვაჭრობის შესახებ

ნუსეინ ახვლედიანის  
კომენტარიებით

აჭარის ასარ სახელმწიფო გამომცემული ინსტ

გ ა თ უ მ ი

1948

9(47.922)

5-404

ଓଡ଼ିଆ  
ସାହିତ୍ୟ ପରିଷଦ  
ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନିକ  
ବିଭାଗ

୧୯୮୦ ମେ ମୁଦ୍ରଣ ମେ ମୁଦ୍ରଣ ମେ ମୁଦ୍ରଣ ମେ ମୁଦ୍ରଣ

## ପ. ବ. ବେଳିଏକାଳିପିଲେ ଅନ୍ତରନେତାଙ୍କାଳୀ

ତୃତୀୟ ପିଲେ ମିଶର ସାମନ୍ତରୀତ ସାମନ୍ତରୀତ  
ପିଲେ-ପିଲେ ମାତ୍ରାପ୍ରେରଣା ରୁ ଠିକ୍‌ବେଳିପିଲେ  
ପାଞ୍ଚଶିଲିପିଲେ ଶେଷାଖେଳି

କୋଟି ୫୦୬.୯୬  
୩

B-5.095

କାନ୍ତପୁର ପାଇଁ  
ପାଇଁ



ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

୧୯୪୮ ମେ ୧୦

1948



რედაქტორი

აკად. გ. გერენიშვილი

38 / 27 ვწ. 2012 32.

## ა მ ე რ ა 8 3 6 0 6 2 2 6

ნებიერიძის მოგონება ერთი იმ იშვიათ ქეგლთავანია, რომელც დაბარის წილის წარსულის, შესახებ ცნობებს შეიცავს.

ისტორიული ბეღუკულმართობით, XVI-XVIII საუკუნეებში ბარბაროსულმა ოსმალეთმა საქართველოს მისტაცია მისი ხალკო-თესო ჩატილი, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. და იქ უკულტურობა დანერგა: ოსმალთა ხელში ქართული მთხოვლეობის უსლტურული დონი არა თუ არ მძიმლდა. მან მთელი საფეხურით უკან დაიხია, გაქნა საქართველოს ამ ნ.ჭილში ქართული მწიგნიბრობი, ხოლო მის მიერგო არა შემოსული ჩა. იოანე და ექვთიმე ათონელებისა. შოთა რუსთაველისა და აზუსერიძე ტბელის ქვეყანა უწევნენურობის საბანელებ მოიცვა. ამით ბისნება, რომ ოსმალეთის ხელში მოხვედრილი ქართული მცენების შესახებ ჩვენ იმ ამბების თანამედროვე წერილობითი მასალა ქართულ ენაზე თითქმის არ მოწევებოვება.

ამიტომ ყოველი ახალი ცნობა, ყოველი ახალი წერილობითი დოკუმენტი საქართველოს ამ ნაწილის, კერძოდ, ავარის შესახებ განსაკუთრებით ძვირფასია ქართული საისტორიო მეცნიერებისა-თვის. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მეცნიერების მუშავნი ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ წერილობით მასალას, ქართულს თუ უცხოურს, იგროვებენ. ჩვენ სრული იმედი ვვაძეს, რომ ასეთი შრომით თან და თან დაგროვდება საქმო ცნობები. რომლის ნიაღვზე შესაძლებელი იქნება ჩვენი მხარის იმ შევბნელი წარსულის ყოველმხრივი გა-შუქება.

ეჭარის სახელმწიფო მუზეუმის პირდაპირი მოვალეობისათვე  
მუშაობაში (ეჭარის წარსულის, შესახვავლად მასალების შეგროვება) საქმიანი მონაწილეობა მიღონს. და ისიც შეძლების კვალობაზე მუშაობს ამ მიმართულებით.

ნებისმიერი მოგონებების გამოქვეყნება ეჭარის სახელმწიფო  
მუზეუმის პირველი მცირე წელიდან ადრე საქმიანი.

## მხატვა, რომელ ას სამოთხეს.

### გინა ნედელიშვილი მარიამი გადი

(კაფებაზო იორდა ცხაგირიძეს მოგოლიძეს)

...ესოდექ უკანონეს თხზულებასა ამასა ჩემსა, რომელ ვარ მო-  
 წამე წინაშე თქვენსა, და განსაკუთრებით მწურონელი მემკვდ-  
 რეთა ძეთა ჩემთა, ჯერეთ მცირეთა წლოვანთა გაბრიელისა და  
 რაფელისათა, და სულისა ჩემისა გაიანესი; რომელთა ვამცნებ  
 სასტიკად, რათა დაიმარხონ გონებათა შინა თვეთა ყოველი მო-  
 ღურებანი, სწავლანი და დარივებანი ჩემნი, და პსკოვრებდენ  
 სიმართლით და ოღონძნედნ შიშსა შინა ღრუთისხსა, რამეთუ  
 ყოველი ბედნიერება სულიერად და ხორციელად მონიჭებულ  
 არს ღრუთისა მიერ, და არა ძალით თვალით, სულიერად ამისთვის,  
 რათა არა შეპსცოდონ ღმერთისა და არა განარისხონ გულის  
 წყრომად მისი, რომელიც აღმოჰყებულის სახლსა ვიდრე საფუძვე-  
 ლოდმდე; ხოლო ხორციელად ამისთვის, რამეთუ უხვითა წერლომი-  
 თა ღრუთისათა, დღისების სახლი ყოველითა სიკეთითა, აღორძინ-  
 დების სიმრავლითა და წარმატებითა დღითი დღედ; ხოლო ზო-  
 მიერებითი ცხოვრებად, უფროს საქებელ არს საზოგადოთა შინა,  
 ვიდრედა შეიძრული ცხოვრებად, ვთარაცა მოვლება სიცოცხლი-  
 სა და დღეგრძელობისა, და გაოხრება სახლისა და ოჯახისა: (რომელი-  
 სა ზედა ჩემს საეუთანის ხელს ვაწერ ახალციხელი იოვანე სტეფა-  
 ნეს-ძე ნებისმიერიდე). მამისჩემის მამის სახელი იყო ანტონი, ნები-  
 რებაშვილი \*), გამივანდა რომ ვალესა და დიდ-პამაზს შუა ტუშე  
 შტერბიბით ვალელებს ჩეცათუ შორცელდად მიუტრებს მოუკ-  
 ლავსთ და იქ მარხია; დედიჩემის სხელი იყო თერეზინე და ამის  
 მამისა სახელი ანტონი ჭანითი, ანუ ჭანაშვილი; და ეს მარხია ზე-

\* ) სამატებულია ტექსტის ხელით.



მო საყდრისა და ყულლის \*) შეა დაგიღს კიბის. ასლოს ენერგეტიკული სასაფლაოზედ, ვაგონებ გაზღაიცუალი იგი 1827-სა წლის მიუდინით ამას ექსორიობის ახალციხის კათოლიკეთა მღუდელთა, რომელნიც სომხების შეკიზვიზებით და დამტკრებითა კათოლიკის ერსა ზედა, სტამბოლის სულთან ძაპუზდან ვამოქსკა უქაში, დატყვევებად ყოველთა კათოლიკის მღუდელთა. თვისა საბრძანებელსა შინა; და ახალციხის ფაშაშინ შესხენი იგინი ციხეში რავდენსამე თვეს (ორსა ასუ სამ თვეს) და არა ჰქონდათ ნებად დამარტინუად მიცუალებულთა: ამისთვისცა ჭახათ ანტონად ივი დასაფლავედა ხალხთაგან ლოცვითა და კელჩებითა თვინირ მძრდისა; ხოლო შემდგომად განთავისუფლებისა მათისა; შესრულდა ყოველი ეპლესისა წესი და ქანონი შესჩედა: — ხოლო ოდესცა აღმოჩნდა მზაქურიობითი იღუმალი პაზრი სომხეთი, რეცათუ სომხის კათოლიკენი არიან სომქოთავან მოქცეულნი, და რათამცა შეკრთღნენ იგინი კვალად სომქეთი თანა; და რა განითქმა მმავი ეს შეიწროებისა, პრომის წმიდა პატი და ეკროპის კათოლიკეთა შეფენი, აღიძრენ ამა საგანსა ზედა, და წინააღმადვნენ სულთან ზაპმუდა, რომელმაც პსცნა თვის განუსჯელი შეცოობად და აღვიარად წინაშე მათსა სინანული და სთხოვა მოტევებით შენდობად, რამეთუ იტყოდა ჩვი, ვათორშეც სომხეს პატრიარქთა გარდამ(ი)-ბირეს მე დაქთამებითათ:

აღვილი ჭახათ ანტონას დამწვრის სახლისა. მდებარები აუკვემო საყდრის შეკლის ახლოს პირდაპირ რომ იყო დიდი ხელები და ძაღლი დარბაზი, სადაც ციხის მეჩეთისათვის თვითმიზვილი სანთლები კუველ წლივ, სიგრძით ვიდრე ცხრა ადლამ-დე იქ ჩამოისხმოდა მესანთლე გულაბათ ხანუმასაგან, ამავე სახლის მეზობლისაგან, თარტის ფაშისათვს; და ეს აღვილი უანდერდა და შეპსწირა მას ანტონის მეუღლემან იღლისაბედმან (ელის-აფეთმან) ქვემო წმიდა იოვანე ნათლისმცემელის საყდარს, და თვთონ მარხია ახალციხის გარეთ სასაფლავოზე, და ეგრეთვე მარხია დედახემი თერეზია (თერეზინე). ჩემი ძმა მელქონაც, და ჩემი რრი წვრილი ვაჟები კონსტანტინე და მიხაილ, რვა რვა თვის გარდაცულილნი შაპყულიანის ყანათან დამარტინულნი. თვ-

\*) პლათ, — გზლე — უერდალური კოშკი.

ჩემინას ხაფლავის შეცრდედ და კოსტანტინის გერბის ქვეზე  
ოცდახუთი მანეთი მე დამიხარჯავ: მამაჩემის დედაც ელემინატორი  
ფეიდაჩემი მარიამიც, რომ იყო ზემო საყდრის მოღოზანი, იქ მარ-  
ხია, — მამაჩემი სტეფანე იქნება ახლა თოთქმის თოხმიცის წლი-  
სა, — და გერ ერთის წლისა არ ყოფილა (ძუძუმწოვარი), რომ იმი-  
სი მაშა ანტონად (პაპაჩემი) პამაგის ღელეში მოუკლავს ჩვენ(b)  
შორეულ მონათესავებს, თხუთმეტისა ანუ ოცი ყურუშის გალი-  
სათვეს: ხოლო ბიძაჩემი ჯანათ პეტრედ დამრჩევალა შავს ზღვაში;

ამ ყოვლად მოწყალეო ღმერთი გვედრები თუალთცრებ-  
ლოვანი ჩემის ცოდვილის პირით, ულხინე მათ ღმერთი, ულხი-  
ნე, და ნუ თანა წარსწყმედ უსჯულობათა შინა მათთა, შეიწყა-  
ლენ სულნი მათნი და დაუმკვდრე საუკუნო განსვენებად, რამვთუ  
მრავალ არს მოწყალება შენი ეგვ ვითართა უბედურად გარდა-  
ცრალებულთა სულთა ზედა, ამინ.

ხოლო ბიძა იყი ჩემი ჯანათ პეტრედ იყო დაქორწინებული  
ივლიტელი ძუძუნას ქალზე მარიამზედ; და ახალციხე რუსმან და-  
იპყრა 15-ს აგვისტოსა (მარიობათ) 1828-სა წელსა. მაშინ ციხეში იყო  
ნაჩალნიკად გვარით ბებუთოვი, სომეხი, რომელმანც მშავტრობით  
განსცა ახალციხე აჭარის აჭმად ფაშასა, რომელიც დაესხა თავისის  
აჭარის ჯარით ხორციელისა ანუ ყველიერის კვირაში თებერვლის  
წინა დღეებში 1829-ს წელსა ახალციხეს, მოახორა ქალაქი, წარს-  
ტყვევნა ვიდრე ოც სულადმდე, და მრავალნიცა მოჰკლეს ახალცი-  
ხისა მცხოვრებთაგანნი ციხის წინათ ყოფილს შეჩითში, სადაც ში-  
შისა გამო შეკრებილ იყრნენ, რამეთუ ციხის კარები იყო დახ-  
შულ და დაკეტილ, და აღკრალულ იყო შესვლად მუნ; ხოლო  
ხალხი როდესაც იყო დიდს საცოდაცობაში, რამეთუ ღალადება  
მათი აღიშეოდა ზეცამდისინ. მაშინ შებრალებითა ციხის კედლე-  
ბიდამ თოვის აწევით, აყრანდნენ ციხეში, ვინც რომ მოასწორდა  
და გადარჩენას, მინამდისინ მოეშველებოდა ტფილისიდამ რუსის  
ჯარი; და რა რომ შემოვიდა ქვეითი ხალდათის ჯარი ახალციხეს,  
მაშინ აჭარელი შუაღამისას გაიქცა, და რავდენიმე სულიც ტევდე  
წაასხა აჭარას; ამ ტყვეებში იყრნენ ივლიტელი ჩვენი მძახლის  
ძუძუნას შეიღები სიმონა, 13 წლისა, და ოჯანოხ, 10 წლისა, და  
ამათი და მარიამი ბიძაცოლაც; და რა რომ ძუძუნად და თავისი



სიძე პეტრე ჩავიდნენ აჭარას მათის დასახსნელიად. ბაზაცუაზორიც მართვა  
დაიხსნეს, მაგრამ სიმონა და ოჯახი წაყვანეს ტამბორიცაირთვა  
დაყიდვად, და როდენაც ძუძუჩად და პეტრე ჩასხდნენ გემში ზავს  
ზღვაში მოსაქებნელიად იმ ვაკებისა, მაშინ გემში ვასგანშე დალა-  
ტობითა ბიძაჩემი პეტრე ჩავარდნილი ზღვაში და დაძრჩვალი და  
ამისი სიღედრი ძუძუჩა არავინ იცის აუ გასულა სტამბოლში თა-  
ვის შვილებთან, ანუ თუ თვითონაც დადაუცვილ ზღვში უცნობე-  
ლია; და ბიძაცოლა მარიამი რავდესნამე წელი ივლიტის იყო, და  
რა რომ მოუკვდა ამის ქალიშვალი და დაძრჩა თვითონ უშვილოდ  
და ქვრივიდ, ესეც წავიდა სტამბოლს; და თქვეს ხალხში \*), თუ  
გათაორებულან ძუძუჩას შვილები სტამბოლშია.

აჭარელი რომ დაესხა, იხალციხის ხელის ციხის გარეთი მე-  
ჩითში შეიტრიბა, მაშინ ჩვენებიც იქ შევიდნენ. დედი თერეზინაა. მისი დაა მარიამი (დეიდა) და ამისა ქალი სახად და მეც და  
ჩემი თრი ძებიც პავლე და პეტრე; მე მაშინ ვიქმნებოდა ცხრა  
ანუ ათის წლისა, პავლე იქმნებოდა უქვესისა ანუ შეიღის წლისა,  
და პეტრე კი ძუძუმშოვარი იყო; მაშინ ახალციხელები სილახო \*\*)  
ანუ საომარის იარაღთ მოტორული იყრნენ, და მექეთიდამ ანუ  
თათრის კამიდგან ებრძოლენ აჭარელებს, მაგრამ აჭარელებმან მე-  
ნირთის რკინით შეკეტილი კარები დაძალებს, გააღეს და შემოც-  
ვივდნენ შუალამისას, მაშინ ვაძებულს ხანთლები, და დაჭრილი  
აჭარელები თავსისწლათ შესგრილნა; ზაყაყებსავით ცოცავდნენ  
მეჩითში, მოსატაცად ყმარწვილებისა და საქონლისა ანუ ქონებისა,  
და ბევრი სულიც ჩვენგანი დახოცეს იმათ, და ბოლოს გასტეხეს  
ხალხმან მეჩითის რკინის ფასხარა, და ვაცვივდნენ. ციხის ჟღვდე-  
ბისავენ, და საცოდავთ ეხვეწებოდნენ ციხეში აკანს, და ხელ-  
დათები ჩიმოკერდავდნენ თოყსა და სწევდნენ ციხეში. დედამც  
მოიტაცა სიჩერით ხოჩიჩით ძუძუმშოვარი ყმარწვილი პეტროვ,  
რამეთუ შეებრალდა ღაგდება მეჩითში, ვამოვარდა ფასგრიდ პ. და  
თოყით ამოყვანილ იქმნა ციხეში, მაგრამ აჭარელები კი ისრიდნენ  
თოყსა, და თოყით აწევაშიაც ბევრი დაიხიცნენ ტყვიითა; პირვე-  
ლად მოიტაცეს პავლე და მერე თავსისხლიანმა აჭარელმან ჩოჩ-

\*) ჩამატებულია ტექსტის ხელით.

\*\*) სილახო - „სილადი“



ვით ხელი წამავლით მე, და დედად გამშარებული ტირსლითაშე გამოიყენები  
ნებოდა. წაპერე შვილი, წაპერე იმას, და გამომიყვანა მექითიდაზ  
ტირილითა და გაებითა, და მანუელშებდა: ბიჭი ჩუ პსტარით, კა  
ზაღანა ხარის: და ორმ გამომიყვანეს მექითიდამ, ვიღომაც ქალ-  
შან მომცა ხელში ერთი პატარა ბუდის აპუხტი<sup>\*)</sup> ), და მექითის  
პირდაბირ ღუქნებში, სადაც იყვნენ სხვანიცა ტყვეთ, იქ შემიყ-  
ვინეს შეც, და როდესაც რომ ვსტიროდი, იხალციხელები მეუბნე-  
ბოლჩენ: ჩუ სტირი შვილო, ნუ სტირი, ღმერთი მოწყვალეა, მამა-  
შენი ღვირებსნის აჭარელის ხელისაგინ. მაშინ მამაჩემი სტეფანე  
შასული იყო ქუთაისი, ზა წარელი თანცე გახახყიდად სახლის ვე-  
ჯი სცილენძესული ჰერელი, თაორებისაგინ ხაყიდი, საამხანავოდ  
ყილავისით<sup>\*\*)</sup> თანახინისონ. რომელსაც უქახდნენ თერძი  
გრძელი ოპანჯანამ, რომ იყო მამაჩემისა დიდიხენის ამხანავი, კაცი  
პატიოსანი და შევნებული, ენა მძარტილი და ფეთილის შეოფელი,  
ლმერთმან აცხვნის, ღმერთმან საუკუნო გ ნსვენება დაუმჯდო-  
როს იმის სულსა, და იმის მეულე სარასაც ესცე პატიოსანიქალი  
იყო. — ექვენი დაუზრი ჩაუღენსამე დღეს. და ჩემი ხაჭმელი  
იყო ის აპუხტი, და სიმწყერგალით გირჩობოდით ყველინი, მაგ-  
რამ დუქნის ფანჯრის წინ იყო ცოტბ-ცოტა თავული კაყინული, და  
იმას გსპამდი წყლის სასმელად, რაღვანც რომ სასმელი წყალი ის  
იშოგბოდა, და თოფის სროლისაგინ ვერავის მოქმედი წყალი,  
მეტე გამოგვიყვანეს ის დუქნიდამ. <sup>†</sup> და შევვეუფანე, დადი<sup>\*\*\*)</sup>  
აბირის პარლაბირ ხანში<sup>\*\*\*\*),</sup> აქაც დაგრჩით რაცვენსამე დღეს. —  
ერთს დრესაც მომავრნდა, ავერა ხანის ბაზე, და კალიით  
თოვლი მოვპერიფე სასმელად, გამოვიხედე გამოლმათ და დავინა-  
ხე პირდაბირ ჩევნი სახლი, გამოვიქეც და შევედი, და ჩა რომ  
შესმი ხმაურობა აჭარლებისა, შიშიო შინაგან ოთხში ილიზ შევე-  
დი, გამოვედი და ჩევნი მეზობლის ცერინარით სახლში შევედი,  
სადაც იყუნენ შეკრებილნი ერთად ბებრები დედაკაცები და ჩემი

<sup>\*)</sup> აპუხტა ანუ აპლეტი — აჭარაში დაშაბულ ქათასს უწ რდებონ. საერთოდ. აპლ-  
ეტი ნიშანას დაშაბულ გამზმარ ხორცის.

<sup>\*\*) გალავაჯი — მკალავი.</sup>

<sup>\*\*\*)</sup> სიტყვა „დიდი“ ჩამატებულია.

<sup>\*\*\*\*)</sup> ხანი — აჭარაში ხანს უწოდებენ ისეთ სადგომს, სადაც შეზავრები თავიანთი  
ქარაგინითურთ დამეს ათვევნ.



ბაბუა ჩემებიც ესე იგი მამაჩემის დედა ელენი რომ იუსტიცია  
და ჭიხით დადიოდა, და მეორე დედაჩემის დედაი ელსაფეთახ, და  
რომ დამინახეს მე, იელინარათ სიმონას დედამ იელინარამ ოქვა  
ჩემთვკ, თუ: ვერ დავმალეთ მმ ყმარწვილსა სახლში, ვვეშინიან,  
აქარლები დაგვესხმიან და სულ ერთიანად დაგვხოცენო. და  
იელინარაც იყო აქარის ბევრისა ნაცნობი და იმისი სახლობა გა-  
დარჩა აკლებისაგან; მაშინ პაბუაჩემმან იელსაფეთამან გარსხა  
გული, და სიმწარით ორისხევე ხელებით იფხანდა გულზედ, და  
მეუბნებოდა გამწარებული: ოჯ შვილო რა ვძენა, რა გიშეველ!  
გული მემდუღვრის სიმწარისაგან, იელინარას ეშინიან შენი დამა-  
ლვა მმ სახლში. მეორე ბაბუაჩემი და ელენეც ჰსწუხდა ჩემზედ და  
მითხრეს ორთავეე: წადი შვილო ისევ ხანში, შენს აქარელთან,  
მამაშენი მოვა ჭუთაისიდამ და დაიგიხსნის; მეც იმედ გარდაწყვე-  
ტილმან ისევ უკანვე დავბრუნდი სახლში, თანვე კალთაში თოვ-  
ლით, და შევედი ხანში, მითხრა აქარელმან: სად იყავ აქარდისინ.  
მეც ვუთხარი თუ: თოვლს ვპრიფერდი. და სწორეთ იმ ღამეს რუ-  
სის ჭარიც შემოვიდა ახალციხეს, და აქარლები შუა-ღამესვე გა-  
იქცნენ: — აქ მომაგონდა დავრწყებული ერთი მცხლი: როდესაც  
რომ მეჩითის დუქანში ვიყავი, გამოვიყურე შუადღისას, რომ ორ-  
მა აქარელმან გამოიყვანეს მეჩითის ოთახებიდგან ერთი კათო-  
ლიკე კაცი სახელით ათედ, რომ იყო თერჩი, და შეიარაღებული  
ბრძოლის დროს აქარლებზე, მოიყვანეს საყასბო ადგილს იქვე  
ახლოს, დააყენეს ფეხზე, და ერთმა აქარელმან გაუწყო იმ ათეს  
წელში წყვილი დაბანჩა შემოარტყა წელში სატევაზი და ყოვე-  
ლი საომრის იარაღით შეპმოსა; ხოლო ათედ ეხვეწებოდა იმას თუ:  
ნუ მოქალაგო, სიკედილამდისინ მოგემსახურებით თქვენ. მაგრამ  
აქარელი კი ეუბნებოდა იმას: ბიჭო! აბა დაიხედე წელზედ, თუ  
რა კარგად გიხდება იარაღით, და მეორე აქარელი მოშორებით  
და ფარულად მართავდა თავის დაბანჩას გატენილსა ტყვიით, და  
მოვიდა ათესთან, აუწია მარჯვენა მკლავი და უშინვამდა ღლი-  
ას, და ეტყოდა: ბიჭო! არ დამიმალო ჩემი ტყვია და სალავათი \*)  
თქვიო, და ისიც ამბობდა: ღმერთო მაჩუქე ჩემი ცოდვაო \*\*), და

\*) სალავათი — ალთქმა, ფიცის მიცემა

\*\*) ფრანგ „და სალავათი თქვიო, და ისიც ამბობდა: ღმერთო მაჩუქე ჩემი ცო-  
დვაო“ ჩამატებულია ტექსტის ხელითვე.



მაშინევ ჰცა ღლიაში ტყვია. ერთი კი დაიბლავლა თემან უქოშესული  
წაიქცა და იმა ყალი გამოსწრეს. ათეს გარდა ბევრი სხვა ძალაშემთხვე  
ცეს, რომელიც თვალით არ მინახავს.

ამის შესრულებაში გამოშიყანეს ახალციხიდამ და გარი  
შეირჩიბა ივლიტას ღმით (\*), და რადგანც რომ ფერ ისევ ზამთარი  
იყო და მარტო წინდით ფეხშიშველი ვიყავ, და აჭარის მთაზე  
შვეითი თოვლში სიარულითა, სიცივემ და ყინვამ ფეხები მომძრა,  
და რა რომ ჩამოყანეს აქარის სოფელში ზენდიდს, პარი დათბა,  
ფეხებიც გამითბა და მოძრულად დამრჩა, და რავდენსამე კვირას  
ველარ ვადგემდა ფეხსა დედამიწაზედ, და ჩოხით დავდოიდი  
ოთხშე. შუხლებით და ხელების დაწყობით ადგილზე; ბოლოს  
აჭარლის დედაკაცმან მარილის წყალში ფეხები ჩამაყოფინა რა  
სამგზის, და კარგად შეეგებენ და გამითოვლდა ფეხები; მერე მიძ-  
ყიდეს სხვა აჭარელს სოფელში ორცეს, სახელით გულო ძღას,  
რომ იყო იუსირჯი, ტყვების მომკრეფი და გამსყიდველი სტამ-  
ბოლში და მისირში ანუ ევვიპტეში, ფასად, მკრნია, ცხრა ანუ ათ  
თოვ ყუთნად.

და რა რომ მამაჩემი სტეფანე მოვიდა ქუთაისიდამ, და როდესაც  
სპილენძეულის გაყიდვით ექმნებოდა ათ თუმნამდინ ფული ოპან-  
ჯინისთან სამხანავო, და სხვა ქოთნითაც დაფლული ჩვენს სახლ-  
ში ცოტაოდენი ვერცხლეული და ფული.

ჩუხმან დაიბყრა ახალციხე ზემო საყდრის მხრიდამ, და როდესაც  
თათარი ესწოდა ციხის შუა ადგილიდამ, გამისა და შადრევნის აქეთა  
მხრიდამ ზარბაზნის ტყვიასა (გულლისა) (\*\*), რადგანაც რომ ტავ-  
შანთაფითგან (\*\*\*) ვერ შემოვიდა რასამ, ადგილის უმარჯვობისა  
გამო, მაშინ თათრის გასროლილის გულლის დაცემულის ადგი-  
ლიდამ, რუსმან უხერხა და დაუმარჯვა თავის ზარბაზნის გულლა,  
და სწორეთ ციხის დიდ ზარბაზნის პირში ჩაპსცა, და დაუცო პი-  
რი, ასე რომ თათრებმან ის რუსის გულლა ვეღარ გამოიღეს თა-  
ვიანთის ზარბაზნისაგან, და თქვეს სასოწარვეთილად, რომ აწ  
დომერთი აღარ გვაუფლებს ჩვენ ახალციხეზედან; შეპკრეს პირო-  
ბა, და დიდის პატივით მიართულს ციხის კარის გასაღებები რუ-

\*) „ღამით“ ჩავატებულია.

(\*\*) გულე—უშემბარა.

(\*\*\*) ტავშან-თეფე—კურდლის ბორცვი, მთა-მუგვერვალი.



სის ჯარის მთავარ უფროსსა პიკევის; და ჩა რომ ჩუქუხურჯულა  
შემოვიდოდა ახალციხეს, წინ წინ მოუქმოდა ჯარის უფროსს გადადებულ  
თოლიერ გრძელ დასაცველად ქრისტიანის ხალვის; ხოლო მო-  
წია რა ზემო საყდრამდინ დღისით შუადღის მეტე 15-ს გაკსტო-  
სა, 1828-სა წელსა, მაშინ ერთმან თათარმან, სახელით გულა  
აღმანი, გამოისხოდა თოფი თავის სახლის ფანჯრიდამ, რომ არის  
ზემო საყდრართან ახლოს, ეცა ტყვია ამ კათოლიკე უფროსსა, და  
მოკუდა, და იქვე საყდრის და წყაროს შუა ადგილს დაჭულებს,  
(უფრო წყაროსთან ახლოს). მაშინ შესცემდნენ ხალდოუბი გუ-  
ლო აღის სახლში, ვინც იძოვებს იქ სულ ამოკლატებს. — ხალდო  
ხან შემოვიდა ჯარი, განრჩესხებული ამ საქმეზედ, და გარდასწ-  
ხან საყდრიდა ჯარი, განრჩესხებული ამ საქმეზედ, და გარდასწ-  
გვძნენ ცეცხლით სახლებს, რამეთუ ქეჩებში კრიკ იძოლა-  
ბოდნენ იარაღოსანნი თათხები, რომელნაც ამ ღამეს ვოთქნებამ-  
დისინ, სრულობით გაიკიბნენ ახალციხიდამ სოფლებში, აქარას,  
არზარუმს, სტამბოლს, და სხ. — ხოლო დოლით რუსის ბრძანები-  
თა ყოველი ხალხი განვიდა მინდვრად ზემო საყდრის მხარისა-  
კენ და ახალციხის კათოლიკეთა უფროსი მღვდელი პატარე შაპ-  
კენ და ახალციხის კათოლიკეთა უფროსი მღვდელი პატარე შაპ-  
კენ (პოლოს ვარდაპეტ შაპულოვი) წინ გაუძლვა ჩვენს კა-  
თოლიკის ხალხსა; შეიქრიბნენ და მივიღნენ პიკევისთან მიხი-  
ლოცვალად ძლევა-შემოსილებისა თათართა ზედა და იმ დღეს  
მინდორში დარჩენ. ხალდოს ხან შემოვიდნენ ტაგშან-თაფის  
მხრიდგან ახალციხესვე, სადაც მრავალს ადგილს ცეცხლის მიცი-  
მითა იწვოდნენ სახლები და ღუქნები და ვინც მოსწრობდა  
გაქრიბასა, გადარჩებოდა დაწვისაგან. ამავე დღეს, როგორც გა-  
მიგონდა მამაქემისაგან, ამის დღეს ელენეს ძვრუფას ნივთეული  
ჰქონია თავის მზითვისა დანაშორენი, თუალი და ვეჩცხლი, ოქრო  
და მარგალიტი, და რაღვანაც ეს ელენე იყო მიუკარებელი დედა-  
კაცი, და უნდობელი ბებერი, ის თავისი მზითვი ელვა თავის  
უბეშივე, და ჩა რომ დადიოდა სახლის გარეთ. მაშინ რუსის  
ჯართან დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა ტფილისის მცხოვრებნიცა შეხუ-  
დენად საღმე რამე საშოგრისა. და ერთსა მათვანსა მცხოვრებ-  
თაგანსა, შეუმჩევია გზაში ხლათვით სიარული ელენასი, ჩაუყ-  
ვია ხელი უბეში და ამოუცლია მისგან ის მზითვი. და მანამ-  
დისინ მოკუდებოდა ელენე; (რომ იცოცხლა კიდევ ათოლე წე-  
ლიწადი), ყოველთვის პსტყავლიდა იმის მზითვის ამომცლელსა; —



ახლა ვიღობარეთ ჩემს დახსნაზედ აქარიღგან, თუ რა რა შემოგვიარებული და მარტო ჩავთვის თავზედ. მამაჩემმან შეკრიბა რავდენმეტ თუმანი და მარტო ჩამოვიდა აქარაში, ქედის, დასაგულფეხლად ჩემდა და პავლესი, სადაც იყუნენ მოვაჭრენი არტანუჯელნი. შავშეთელი და ბათუმელი კათოლიკენი, რომელთაც გამოპერთხავდა ჩემთვს და პავლესთვს. და იქ ქედის შესაბა პარასკევობა, რომ ყოველს პარასკევობით შეიკრიბებიან სოფლებიდამ საგაჭროთ. მაშინ მამაჩემმან იპოვნა იქ მოსულნი პავლეს პატრონი და ჩემი. პატრონიც აქარლები. პირველად შავიდა პავლესთან და, რადვანაც რომ პატრატი იყო, იეფათ დაიხსნა, მგონია, ხუთ ექს თუმნათ; და ჩემს პატრონსაც მისცა ბეეთ რავდენიშე მანათი წინათ, რათა რომ ას შავეყვანე სტამბოლში გასასიადად; პავლე დაიხსნა მაშინვე და მოიყვანა ახალციხეს; და რა რომ ჩემმან პატრონმან გულო იღამ განმიცხადა ორცვის, და მითხრა თუ: მამაშენი ვნახე ქედის და გავურიგდი ოც თუმნათ და ბეეც ავიდე მისგან. რასაკირველია, დღიდ მიამა, მენუგეშა და გამეხარდა, და იმ დღეებში მესიზმრებოდა ხოლმე, რომ ცაში ვაჟრინავდი, და რადგან ვიცოდი ზეპირად ლოცვები და მახსოვდა, მიერიდოდი ძველათგან<sup>1</sup> დაშონილს ნასაყდრევს ადგილს, ვლოცულობდი და პირს ჯვარს გამოვისახემდი და მრავალშერ საცოტურისაგანაც დავისხებოდი ხოლმე ჩემის ლოცვითა. მაგრამ ჩემს გათათებაზე თუალი ჰქონდათ და მაგულიანებდნენ, რომ აღა შეიქმნებიო; მერმე რა რომ დააპირა იმან სტამბოლს წასვლა, იყიდა ორი სხვა ვოვთ და ერთი ბიჭი, გურიიდამ მოტაცებულნი, რომ ერთად უნდა წაევევანეთ სტამბოლში, და გავიდა შუაში თიოქმის ექსი თვე. ბოლოს მამაჩემმან მოპერიფი ფულები და დედაჩემის წელის ვერცხლის ქამარიც დაუწინდა გირაოდ პატია მეფისოვს ფულში, რომ ძალიან იეფათ მიუცია (ვინ დაეკებდა მაშინ სიეფესა და სიძვირესა გაშირვების ღროს), გამოართვა ათი თუმანი და დანარჩენიც ქსესხა გირაოთ იოსებისგან საში თუმანი, შეაღვინა თც თუმნამდინ სულ თათრული აქრო; შერე მოიტანა ერთი ხმიადი, გასჭრა შუაზე ორ ანუ ოთხ ნაჭრიდ, და ერთის ნაჭრიდამ გამოფხუნა გული, და შიგ ჩასდგა ის ოცი თუმნის ოქროები, და ხმიადის პირი კი ცომით გამოიცხო, წაახვია ერთს წყვილს წინდაში და ჩაიდგა ტომარაში. და რა რომ



დააპირა წასასვლელად აჭარას, გამოუჩნდა მამაჩემს ჰქონიარმქა ამხანაგი, ახალციხელი ქირთველი, სახელით იმერველაშვილი ნონი, რომელსაც პყვანდა აჭარაში ტყვეთ თავისი ცოლშვილი და იმისი უფროსი ვაჟი პეტრე იყო ქედის ბეგის სახლში ტყვეთ, და მეორები არ ვიცი, თუ სად იყვნენ. ეს ნონი და მამაჩემი დამშობილდნენ და შეუდგნენ აჭარის გზას, მაშინ ნონის ექმნებოდა ფულათ, როგორც გამოინია მამაჩემისაგან, ოთხი ხუთი თუმანი; და ლაპარაკში დატყო ნონმან, რომ მამაჩემს მრაქუს თანვე დასახსელი ფული, შეუჯდა ეშმაკი გულში, რათა რომ რამე ხერხიანობით მოპაროს მამაჩემს ის ფულები, დაიხსნას თავისი ცოლშვილი, და მამაჩემი კი დარჩეს დაუხსნელად. ერთს ღამესაც, რა რომ აჭარაში შევიდნენ, დაიძინეს ორთავებ ვისმე აჭარლის კარაპანში, და რაღვანც მამაჩემი სიარულით დაღალულიყო, თავისი ტომარა თავქვეშ დაიდვა, და ისე დაიძინა. ხოლო ნონი ადგა ღამით ჩუმათ, გასჭრა დანით ტომარა ერთი ციდის ოდენა, გამოიღო ხმიადის ნაჭერი, რომელიც რომ მძიმე იყო, მოიპარა. მაგრამ მიმა ჩემშია კი იმ ღამეს ვერაფერი შეიტყო. რა რომ გათენდა, ორნივე გაუდგნენ ერთად გზას, და მამაჩემი რომ მიღიოდა, როგორლაც ესუბუქა მხარზე თავისი ტომარა, ჩამოიღო მხრიდგან, დახედა რომ ტომრის გვერდი გაჭრილია ერთი ციდის ოდენა, რომ კაცის ხელი ადგილად შეიყოფოდა. გასსნა, ჩაჲყო ხელი, ეძება, დახედა რომ ის ხმიადის ნაჭერი აღარ იყო შიგ, მამინვე თქვა: გად მე, ფული იღარ არისო! და სიმწირით პირის სახეზე ფერმა გადაჭერა და ამბობდა: ახლა რა ვქმნა, ჩვენს ორს, გარდა სხვა არავინ ყოფილა ჩვენთანა,—და უთხრა თავის ამხანაგა ნონის: უთუოდ შენ გამიჭერ ეს ჩემი ტომარა და შენ მოპარე ხმიადის ნაჭერი ოქროთი საგე—. ხოლო ის ეუბნებოდა მამაჩემს: სტეფანე! რას ამბობ, კარგად მოსძებნე, შენ საცოდავო, ეს რა დაგემართა, დაბრუნდი ისევ იქვე და იმ კარაპანში კარგად მოსძებნე, იქნება სადმე დაგავიშუდა.

ხოლო მამაჩემმან თავისის თავქალობით დაუჭერა, დაუდევნელი და გაშტერებული დაბრუნდა უკანვე კარაპანში, რათა რომ ნონიმ თავიდამ მოიცილოს მამაჩემი, და მარჯვედ მოიხერხოს დამალვა

მოპარულის ოქტომბრისა. ჰსძებნიდა გამწარებული, შიგრამ მოპარულის იმოვნიდა? ვერსაღ ვერაფერი ვერ იმოვნა. ხელმეორედ მოცვია ისევ ნონის, ძალას ატანდა და ეუბნებოდა: ნონი! ნონი! ღმერთმან იცის ჭეშმარიტად, რომ ჩემი ფულები შენ მომარე, წუ შერები ამ უსამართლობას, თვარემ ღმერთი გყითხავს და არ შეგარენს ამ ჩემს გამწარებასა და უბედურობაში ჩაგდებასა და ჩემის შვილის დასახსნელს ფულებსა, წუხელის ჩემგან მოპარულსა, არ შეგარენს ღმერთი, არ შეგარენს; ღმერთო, შენ კარგად უწყო, რომ ჩევნს ორსავე გარდა, სხვა არავინ იყო ჩვენთანა.— ბოლოს ჩავიღნენ ქედის<sup>(\*)</sup> და მამაჩემმან შესჩივლა თავისი უბედურება ქედის ბეგვა და სხვა აღა კაცებას, ახალციხის თათრებას, აჭარაშიდ მცხოვრებლებას; და ჩადგანც რომ მამაჩემი იყო თერთი (ანუ მკერვალი), ბეგის ხანუმმან<sup>(\*\*)</sup> ფარჩების ტანისამოსი შეაკერვინა, და სთხოვდა იმათ მამაჩემი, რომ უშუამდგომლონ მას რამე ღონისძიებითა, და ურჩია ბეგმანც, რომ წავიდეს ზემო აჭარას ფაშასთან, და მოახსენოს თავისთავზედ შემთხვეული უბედურება. და რა რომ გამწარებული იყო, ვისმე შავშეთლის კათოლიკის დუქანში იწვა ღამით იქ, ქედის, და ერთს ღამეს რომ ფიქრობდა, ძილში ფიქრმან აიტაცა მამაჩემი, და ბუხრის ოჯახში შეძრა, და რა რომ გამოეღვიძა, კაცებმან გულისმოგებით ანუ გეშეს მამაჩემი.

და იმ ხანებში ჩემმა აღამაც აჭარელმან შეიტყო მამაჩემის ამბავი, და ბარასკევობად წამოვიდა ქედის, და მეც თანვე წამომიყვანა, და რომ ვნახე ქედის მამაჩემი თუალთურებულოვანი და შუხეარე, რასაკვირველია, გული ამოგვიჭდა ორივეს და ვსტიროდით სიყვარულიანის ცრემლებით უხვად და უხვად დაღვრითა; მეტადრე რომ შევიტყვე ნონისაგან ფულის მოპარეა და იმედ-გარდაწყვეტილება ჩემი არა სამუდამო, არამედ დროებითი, რადგანც რომ მამაჩემი კიდევ შშობლიურის სიყუარულითა მანუკეშებდა შე: ნუ სწუხარ შვილო! ნუ სწუხარ, ღმერთი შემეწევა, დაგიხსნი. — ხოლო მე ვითარცა ათი თერთმეტის წლის ყმარწვილსა ვითარი განვება მექმნებოდა და შშობლიური მზრუნველი.

<sup>(\*)</sup> „რას“ ჩამატებულია.

<sup>(\*\*)</sup> ჩამატებულია „ქედის“.

<sup>(\*\*\*)</sup> ხანუმ—ქალბარონი.



ლობად, რამეთუ თითქმის დავიწყებულ მყვანზე დაკრიტიკულად სახლობა ჩემი უძრავისები სიმშობლით; ჩელში გენერალური უმარწველული და მაჩედ გხადოლობდი; მერმე გამოცესაღმერ ერთმანეთს და მე მოყვდა თანცვემ. —

ხოლო იმერულაშვილიან ჩინომ მამიჩემისაგან მიპარულის ფულით გაირკა თავისი ხექტ, ჭიბისნა სრულობით ცოლშვილი თვის თვისის თარის გაუებით და ბოლოს აღმოსჩნდა, რომ დახსნაში მასცა ნინომანია თაორული აქროები, რომ იყო ურუბია, ბაჯახლუ, მამშუდია \*) და ოციანები. რამეთუ ხანუმის გამოძიებითა ქედის ზეგმან შეტყო ფარულად ხანოსაგან ვროჩებილი ოქროები, და მოყვანა თავისი ცოლშვილი ახალციხეს. ხოლო მამაჩემი დაუხსნელად მოყიდა ახალციხეს და სესხულობდა იმა-იმისაგან. ფულებს, მაგრამ ვითარსა შემწეობასა მიღებდა, კოკელი გულ-მტკივნეულწინ ანუგეშებდნენ მამაჩემს ცარიელის სიტყვითა და ალექსითა. მოღოს ურჩივეს, რათა თაღის წერილი ახალციხის მღუდლის დად ტერ თოვანესაგან (რომელსაც ეძახდნენ წოთლ-შვერას) და წავიდეს ტფლისს პატრი უფროსიან ფოლიბესთან მოსაკრეფად მოწყალებამა, და გამოცხადდა ამ წერილით ტფლისს კათლეცეთ მინისტრები, საღაც იყო მამის ტერ პოლოს შაპყულიანი, და შეძლებისაებრ კოველმან გასცა მოწყალეობაა მზრუნველობითა პატრი ფალიბესთად, ვპგრონებ შოეკრიბოს თა თუშნამდინარე. შერმე მოვიდა ახალციხეს, როგორც იყო მოიშვა თცი თუშმანი.

და ამ ხანუმი ჩივინდა რუსის ჯარი ზემო აჭარას და გადასწვა ხანლები ფაშისა და მთამხრა იქორჩობა, და ცოტა-ხნის მერმე რესი ისევ უკან დაბრუნდა. ხოლო მამიჩემი რუსის ჯართან იყო თანცვა წასული გზის ხაზეენბდლად და ურთი ბიჯა-ლუ ენუქებინათ. და რა რომ ჯარი დაბრუნდა, მამიჩემი ზავიდა ზემო აჭარის ფაშისთან, და იმის ხანუმს ფარჩეულს ტანისამოსებს უკერავდა, და ხანუმის შებრძლებითა ფაშამან კავშავნა კაცი ქედის ბეგობა, რათა იმინაც ვაგზაგნოს თავისი კაცი ისტვას ჩემს გულო აღსთან (ჯინოდლისთან), რომ წამომიყვანის მე. ზემო აჭარას, და თვითონაც გამოცხალდეს ფაშისთან დასხსნელად

\* ) ურუბია, ბაჯაბლუ (ბაჯაბლუ), მამშუდია (მამშუდი) — მაშინდელი ოქროს ფულების სახელებია.



ტკუვისა, და მიიღოს. ფულები.

და ქედის ბეგმან თავისი ხანუმის ტანზიაჭაველა  
ქურავდ ჩაუყანინა მამახემი ქედის, შეუკერა, და, რა  
რომ დაბრუნდა უკანვე ზემო ოჭარის, გზაში ერთი აქარელი და-  
ხუდა მაცურად, რომელიც უხერხებდა რათა ჩაიგდოს მამახემი  
და გაცარცულს, და ეუბნებოდა: მოდი დავჭდეთ ცოტა მოვისვენო-  
ოთ, მავრამ მამახემმან უხტია: საჩქაროთ ფაშასთან მიღდივარი,  
და თუ დამჯდარიყო გზაში იმ აქარელთან, კიდევ რახმე უბედუ-  
რება გადაიხდებოდა თავზე, ანუ მოპელიცედა ანუ გასცარცვიდა.  
მაკრამ ღმერთმან დაიხსნა და მოვიდა შშვილობით ფაშის სახლში  
ხანუმთან. ფარჩების ჭრაში მამახემს მაკრატელი დაუჭლავვდა  
და რავდებისაც აღესინებდა სხვას, ვეღძა გმირთეს მაკრატელი  
აურც წერტეთ გალესფით და ვერც უკუღა. ბოლოს წაუსვა ნებ-  
სით მაკრატლის პირს და გიმართა მჭრელიდ.

ემ ხანებში მოუვიდა ჩემს გულო აღს კაცი ოჩვეს ქედის ბეგი-  
ხაგან თუ: საჩქაროთ ხამოიყვანე შენი ყმარწვილი და ჩამოდი ქედის. შეც წამომუვანი და მოვედით ქედის, და რა რომ წყალს გამოვედით  
ხიღზე გულო აღამ გაგზვნა კაცი სხვა ქედელ კაცთან მემიშ აღის-  
თან, რომ მოვიდეს, ხილთან. მინამდისინ მოვიდოდა, ხიდის გამოღ-  
მა შევდეგოთ. და მომაგონდა ლოცვა, გამოვისახე პირის ჯვარი  
და კსოქვი ჩუმათ გულში: „გიხართდენ დედუფალო, მოწყალების  
დედაო!“ და რა რომ დავასრულე ეს ლოცვა, ის მემიშ აღა მო-  
ვიდა, მოაღაბარაჟეს ოვანთში და როგორდაც ვერ რიგდებოდ-  
ნენ; ეს ეუბნებოდა გულო აღს: შენ წაიყვანე ყმარწვილი და  
წადი ფაშასთან. ისიც ეუბნებოდა: შენ ჩავაბრი, და შენ წაიყვანე  
ფაშასთან და მოღებ გარიგებული ფასით. მერმე შევედით ქედის  
ბეგის სახლში (მატარა ციხეში, ბურჯში), და ხანუმმან ჩარდახი-  
დამ ერთი მოსირინარი წითელი ვაშლი ჩამომიგდო, და რომ  
უსამდი, გულშიდ ლუთისაგან მეცემოდა ნუგეში ნუგეშზედ, და  
ვიტყოდი: ოპ ღმერთო! ის დღე მეღირსება ჩემი სახლობის ნახ-  
ვა. და ჩემი სამშობლოს ქვეყანა. მერმე მოვედით ზემო ოჭარის  
ფაშასთან, ხადაც ვნახე მამახემი მკერვალი ხანუმის ტანისამოსი-  
სა. მისი ხილვათ ურვა და მწუხაჩება შემეცუალოდა შვებად და  
სიხარულად; და რა პსკვა მამახემმან უთანხმობად პირველს გა-  
რიგებულის ფასზედ, რამეთუ ჩემი მომყვანი მემიშ აღა ითხოვდა



ფასა ნამეტურსა და არა პსევტოდებოდა უწინდელზედ, და ად.  
რე მორჩებოდა საკერავსა, მამახემთან კი და დარიაშვილი გადასაცემისას მამა რომ იყენებ ძველი ბილნი მასთან აღა კაცები, განსაკუთრებით ახალციხის თაორები,  
მამახემის ნაცნობნი, მოილაპრაკეს რეცა თუ შესაწევნელად ჩემს  
დასახლებით. მეტმე თხოვნათა და ვეღრებით, ხვეწილია და  
მუდარებითა, გარდასწყვიტეს ოც თუმანებელ, გარდა წინათ მიღე-  
ბულის ბევრა ანუ საწინდრისა. და რა რომ დაუთვალი მამახემმან  
ფულები, რომელიც პქონდა ტანზედ დაკარებული აქა იქ ოქრო-  
ები ცალკედ, აქარლებს გაუკარდოთ. თუ სიღიძმ გამოაჩი-  
ნა ესოდენი ოქროებით, და ამისობაში ერთი ძალებით თავის და-  
ბანჩის პმართავდა იმ ფაშის \*) თოახში, სიღაც შე და მამახემი  
ციყავით, ჩახმახსა ქვეს (კაებ) უწყობდა და იყო გატენილი, და  
მართვაში ერთბაშად გაესროლა. ტყვია მოხვდა თოახის ფუტრის  
კედელსა და გავიდა იქითა ნაპირს; რა რომ ფაში შეიტყო და  
ბანჩის ხმა, შემოცვიდნენ აქარლები, და რომ უვნებელი იყო  
უეცრად გასროლამ, ფაშმან ის დასახა გასხროლები; და მოვრ-  
ჩით იქ ყოველსაგე უბედურებასა, შეწუხებასა და ვაებასა, და  
წამოვედით აქარიდგან.

და რა რომ მოვახლოვდით ახალცახეს, მამახემ-  
მან ცოტა ხანს ზურგზედ აღმიიდა (რამეთუ მომავინდა  
აქ სიტყუა იგი სახარებისა, სადაც თქმულ არს: „და მოვონ რა  
(წარწყმედული ცხოვარი), დაისვის იგი მხართა თვეთა წელი  
სიხარულით და მორავიდეს იგი სახიდ თვესა, მოუწოდოს მეგო-  
ბართა და მოძმეთა, და ჰქევას მათ: ჩემთანა გიხართდენ, რამეთუ  
ვპპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული, გატყვ იქუმნ: ესრეთ  
იყოს სახარული ცათა შინა ერთისაოვეს ცოდვილია, რომელმან  
შეინანოს, ვიდრელა რა ოთხმეოდა თო ცხრამეტთა მათ მართილ-  
თა, რომელთა არა უხმს სინანულია“. (ლუკას 15 - 5, 6, 7).

ნამდვლად მაგალითი ეს აღსრულდა. რა რომ მოვახლოვდი  
ჩემს სახლთან, დედახემი თერეზინე, ორნივე ბაბუა ჩემები, იყლი-  
საბედ და ელენე, მოყურობა და მონათესაობა მეზობლებითურთ  
მომეგებებოდნენ და სიხარულისა ცრემლი იღვრებოდნენ უხვად,  
და მებრ სხვანი.

\*) ჩამატებულია „ფაშის“



რა რომ მოვედი აჭარიდგან ახალციხეს მაისის ოცეში უფრთხოების წელსა, ჩემი ძმა მელქონად დაბადებული იყო მაშინ. და ხოლო რობათ ინისში 1847 წელსა, ღამით იწვა ჩვენს დუქანში, რამეთუ ჩემი ძმა პავლე ხოლერით დაკერილი და შეწუხებული იყო ჩვენს სახლში, და რა რომ ამან თავისის ნდობითა შესჭამა ერთი მკუხ ჭესელა \*). მორჩენბლიყო. და ამის სიმწარით მელქონად იმ ღამეს გარედამ დაკატილს დუქანში დარჩენილიყო, და დუქნის გასაღებები სახლში ადგა. და იმ ღამეს იქვე მუცელში მოშლილიყო, და რა რომ გააღეს დუქანი, და ამოვიდა მელქონად სახლში, ფერმერთაღლი ყოფილიყო შეშინებული, ხოლერისაგან. თუმცადა სისხლი აართვეს მკლავიდგან, მაგრამ ვერაფერი ეშველა, და მეორე დღეს გარდაცუალებულიყო. ღმერთმან აცხოვნოს, კად მშვიდი ყმაჩვილი იყო, და მარხია დედა ჩემის საფლავთან ახლოს. ჩვენი მეხობელი ქოთათ ანტონაც, რომ იყო დალაქი (ბარბარი), იმ დღესვე გარდაცულილა და იქვე მარხია: ღმერთმან აცხოვნოს, ესეც ნებიერაშვილს იწერება. — დეიდაჩემი მარიამი და ამისი ჩასტანათ იოვანესას ქალრ სარაა იყუნენ ტყვეო ბათუმში და სტამბოლს, და კათოლიკე თანგირ თლლის დაუხსნია აჭარლებისაგან, და მოვიდნენ ახალციხესვე. სარაა მიჰყვა აზრუმელს ექნატოს ოსანოვს, რომ იყო მშვიდი კაცი. უბრალოდ გაუჩნდა ამის მარჯვენა ფეხის ცერის ფრჩხილში დუდკო, რამდენიც იწამლა, იმდენად უფრო გაუძალდა, მთალბა ცერი, მერმე ფეხშიც გაუჩნდა, გაუსივდა, დაუდუმდა, სტკიოდა და ეწვოდა საშინელად. ურჩიეს ფეხის მოჭრა. მუხლაშიდისინ მოსჭრეს. დასნეულდა და ციხის ლაზარეთში გარდაიცუალა. ღმერთმან აცხოვნოს, კარვი უწყინარი კაცი იყო, ოვანესაც ღმერთმან აცხოვნოს.

ამისთანა დუდკო დედაჩემსაც გაუჩნდა მარჯვენა ფეხის ცერის ფრჩხილში (სიარულში წამოეკრა ფეხი შეშაზედ და ხვიწი შესაბოდა, ყური წაუკლო, ადრევე არ შეეცადა, სტკიოდა და ეწვოდა წელიწადზე შეტრა, წამლობითაც ვერაფერი ეშველა, გაუძალდა, და დოკტორმან ცერი მოსჭრა, გაუსივდა ფეხი, საზარდულში ბურთივით გაუჩნდა, და უსეც თავისის სიმწარით გარ-

\*) სესელა—მსხალი უნდა იყოს

დაიცუალა 1855-ს წელსა. ღმერთმან აცხოვნოს. ღმერთმან საუკუნო განსვენება დაუმკდროს დედაქემის ოქროზინის სულსა. ნეტამც იცოდეთ, თუ რა ტკბილი დედა იყო, რა ოჯინისა და შვილების ერთგული შემვლელი, რა პატიოსანი, შშვიდი, წყნარი და უწყინარი. — ამის სიკუდილის წინათ (სიცოცლეშივე) ჩემი პირველი ვაჟი კონსტანტინე შვიდის თვალი აიყვანა, მკლავზე დაპკუცნა და ესურვილებოდა; — დედაქემის დედა ელისაბედი (იელსაფეთმა) იყო ღუთის მოშიში დააღ პატიოსანი დედაკაცი, საღმრთო წერილისა მცოდნე, ყოველს დილაობით მათქმევინებდა ხოლმე ლოცვებსა, რათა ზეპირად მცოდნოდა კარგად. ამის ღილანში არ უცხადებდნენ თავისი ჩილის ჭანათ პეტრეს სიკუდილსა, ზღვაშიდ დარჩობილსა, და რა რომ სხვა დედაკაცებისაგან შეიტყო, თუ ძუძუნას შვილები სიმონად და ოჯანოხ გათათრებულან, და, ამათის ღალატობით, ის თავიანთი სიძე პეტრეს ზღვაში გარდაუგდიათ, მაშინვე ელდის ქარმან შეიტაცა, და რომ მოვიდა სიხლში და ჩვენს დიდი ოთახის კარების ზღრუბლში ფეხი გადა-ადგა, იქვე სიმწარით დაეცა, უძახდა თავის ქალს: თერეზინავ, მიშველე! ისიც მოვიდა, ააყენა ფეხზე, დახედა რომ მარჯვენა მხარე ელდისაგან, ენა, ხელი და ფეხი შეტაცებული ჰქონდა. და ბოლოს შეიტყეს მიზეზი, რომ გაუმჯდოვნებიათ მისთვის პეტრეს სიკუდილიო; და დიდხანს იყო ელდით დაცემული. — მე რომ ტფილისის კათოლიკეთ შკოლაში ოსტატათ ვიყავ, იქიდგან გამოვუჩხავნე ამის იელისაბედს ერთი ბავალლუ, და, რა რომ მიიღო, სიხარულის ცრემლით მლოცვიდა მე და ამბობდა, თუ ჩემმა იონამ არ დამივიწყა ამ ჩემის სიმწარის დღესაო:

სამი ოთხის წლისა რომ ვიყავ, კარგად მახსოვეს, რომ პაპაჩემის ჭანათ ანტონას სახლებში იყო ძალიან მოხუცებული ბებერი დედაკაცი, ლოგინში მდებარე, თუალებით ბრჩა, სახელად ეძახდნენ „ბატალოს“, რომ იყო დედაქემის დედის დედა, დააღ სულიერი დედაკაცი, იტყოდნენ რომ სასუფეველსა ცხადად ჰქედვდა ხოლმეო.

არტანის ველის სოფლიდამ ველელები ყოველ წელს მოდიოდნენ ახალციხეს სავაჭროდ, და მოიტანებდნენ გასასყიდად ერბოს, ყველს, ხორბალს, ფეხვილს, გამხმარ თევზს, და ჭანათ სახლებში დადგებოდნენ ხოლმე, რაღვანც პაპაჩემის

ნაცნობები იყუნენ და მოყურობის სიყვარული მაშინ ერთი მიზანით იყო უფრო იყო აღვნილი, ვირემც თუ ახლა, რამეთუ შემცირდა სიყვარული.

ამ რუსობის დროს ველის სოფლიდგან მთელი კა-  
თოლივე ველელები გარდმოსახლდნენ ახალქალაქის მაზრაში, და  
დასახლდნენ სოფლებში კარდიკამს, ბავრას, ხულვუმოს, და სხ—  
ველელი ძღვდებნი დიდი ტერ-ოვანესი და ტერ-პეტროსი აჭარ-  
ლობათ კარდიკამიდგან ტყვევთ წაიყვანეს. და იყუნენ ზემო აჭარას  
უაშის აღგილში ჯაჭვით. შებორკილებულნი. ტერ-ოვანესი იყო  
მოხუცებული მშვიდი და წყნარი, ხოლო ტერ-პეტროსი ტანადი,  
მოწიფული და მხნე ახალგაზრდა. ამან თავისის ხერხიანობით  
ერთს ღამეს გასტეხა თავისი ბორკილი და გაიქცა აჭარიდგან  
ლაზურის ტანისამოსით და ხელში ჯოხის ჭერით. და რა რომ  
გზაში დახუდებოდნენ ამას აჭარლები, ეტყოდა აჭარის რიგით  
„სალამზ ალექსე (სელამ ალექსე — ხ. ა.), აჭარელიც ეტყოდა  
იმას, ალექსენ სალამ“ (ალექსე სელამ — ხ. ა.) და მოშო-  
რებით გასცილდებოდა, და ამ სახით გადარჩა ის. ხოლო  
ტერ ოვანესი დარჩა იქვე საცოდავად, შეუბრალებელს სატანჯ-  
ველში. ბოლოს ტერ პეტროსისა და ხალხის შემწეობით და გრი-  
ქორ მეფისოვის ცდითა გამოიხსნეს, და ეს ორნივე გარდაიცუალ-  
ნენ, ტერ პეტროსი კარდიკამს, და ტერ ოვანესი ბავრას; ეს ხში-  
რად ყოფილა ჩვენს სახლში სტუმრათ; ღმერთმან საუკუნო განს-  
ვენება დაუმკვდროს ამათ სულსა და ჩვენ ცოდლები-  
სათვაც მოხედ იყნენ ზეციერს სასუფეველში, ამინ.

1837-სა წელსა რუსის ხელმწიფე ნიკოლამ პავლოვიჩი  
შობრძანდა ახალციხეს, და ხალხმან გაოხრებისათვის არზა\*) მი-  
ართვეს, და მამაქემაც მისცა არზა ჩემგან დაწერილი, წარტაცე-  
